

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლეილა დოლიძე

კომერციული ბანკის საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზის
ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერ ატი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი

/ა.ინგოროყვა /

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

/

/

ოფიციალური რეცენზენტი

მოწვეული პროფესორი

/

/

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია ----- მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს

მდივანი, პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

Thesis's topic: planning of the commercial bank's activities and the analysis organizational-methodological issues are very urgent in terms of a market economy. Despite the positive results, the banking system failed to overcome the financial crisis yet, however, on the basis of the legislative and organizational measures carried out regarding the credit institutions restructuring managed to ensure the tackle the most severe consequences of a financial crisis and create the relevant conditions for increase of banks and their assets as well as strengthening the financial situation.

The modern banking system is very complex mechanism; it is highly sensitive and fragile in terms of poor management conditions and more powerful at the same time - in the case of successful management. This situation is due to the wide range of risks, which are met at every step of banks and banking activities.

Banks are integral part of the modern economy and social life. They are presented "in the heart" of the economy and like a vascular system, ensure the connection among the economic subjects. Banks are not the characteristics of any economic region or a country, their scopes of business has no geographical or national boundaries, banks – this is the comprehensive event encompassing the most important resources and financial strength. Basically, allocation of resources takes place specifically through the banks from the subjects holding the temporarily free funds to the subjects which need such funds at the moment. Unfortunately, even today in our country all the economic entities are not completely aware of their role that the banking system must play in the economic system.

The banking system is one of the most difficult and an essential sector of the market economy, which is characterized by the development features and determines the effectiveness of the whole economic system. At the same time, the banking system, in a sense, is a separate autonomous "world", which is characterized by its own specific laws of the development. If use the method of medical analogy, "money" is the blood of the economy and the "banking system" are its blood-permeable arteries; therefore, we may recognize that the banks are the "heart", influencing on the economic viability, activity and development and ensures "real circulation" of blood (money) via blood-circulatory systems (banking system).

Modern banking system operates the so-called "Money Pump" similar service, where a significant amount of free funds (80-90% of bank resources) are attracted and addressed to the borrowers in the way of their crediting in the economy. In addition, it must be also emphasized that on the basis of multiplication in the banking system there takes place the creation of multiply increased new noncash monetary mass of the available credit resources and the establishment of the "Bank Money Era".

The credit system of the country is going up to a qualitatively new stage of the formation, which is characterized by the increasing of competition, tightening of state regulation and supervision of regulations, raising the level of capitalization and the requirements to the level of capital quality, also by the strengthening of interaction with the economy's real sector, growing the non-bank products in the service structure and the increase of the general level of the activity risk. Therefore, for the Georgian contemporary practice the improvement of the banks' management is particularly significant.

The scientific literature almost completely ignores the aspects relating to the specificity of the branches according to the credit organizations planning and the problems of financial analysis. This can partly be explained by the tolerant approach to the regional business operated within the large Georgian banks, the main interests of which are concentrated mostly in Tbilisi. National (central) Bank of Georgia has registered 450 branches of the credit institutions operating in the territory of Georgia in conditions of the total number of 21 credit institutions. The most important results of the scientific novelty are the following provisions:

It has been detected the main differences in approach of the planning of the commercial banks and their branches and financial analysis; the commercial bank's subdivision's operation effectiveness methodology has been evaluated; the rate assessment methodology for the commercial bank branches has been developed; the methodologies for collection, analysis and delivery of the necessary information during the commercial bank management registration process has been reviewed; the modern systems of the commercial banks financial management and the banking golden rule are offered as well as the methodology of the borrower's creditworthiness assessment and its practical implementation algorithm has been developed.

The theoretical results obtained are encompassed in the practical recommendations, the usage of which will facilitate the improvement of reasoning of the financial analysis accuracy and the operation efficiency of the commercial banks branches' operation and planning and in this manner will ultimately help increase the competitiveness. The results of the Thesis, in addition to the above, may be useful for the students of economic higher educational institutions in the process of study of the principles of managerial accounting, as well as the country's credit institutions and their branches. The Thesis specifies the capital adequacy reasons; selection of the optimal method of capital growth; it envisages the fundraising costs and risks; the Thesis also focuses on the main methods of the assets and the liabilities management methods; bank profitability key indicators; banking risk management; modern financial management systems.

There are established the "Golden Banking Rules", in particular: short-term liabilities are to be placed in short-term assets, while the long-term liabilities should be should be placed in long-term assets; the sum of the short and medium term funds according to the assets should not be more than the relevant sum of the liabilities according to the passives; the period of placement of the funds allocation

should not be more than the period of their attraction; the assets structure: how lower is the high-risk assets share in the bank's balance, how higher is its liquidity; the liabilities structure: how lower is the deposits share before the demand and how more is the term deposits share, how higher is the liquidity.

It is considered that all the methods and means of the operation are already known and applied in this or that manner in practice; the error would be an "Elevated Lie". Specifically now for the transformation of the economic banking sector there should be paid special attention to the positive factors, in particular, the facts that they take place on the background of the potential changes of the country's macro-economic system (growth of goods and services, extension of the real incomes of population, extension of the investment activity), which create the reliable grounds for raising the effectiveness of credit organizations' resources application and extension of the scales of business on the one hand and facilitate to identify the major goals and tasks of reforming on the other hand. One of such tasks is the perfection of the approach for internal control systems building in the banks, which, in its turn, shall be non-implementable without introduction of the banks operation planning and financial analysis modern methods. Specifically the above mentioned circumstances stipulated the urgency of the given problem and its selection for this research.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა : თანამედროვე საბანკო სისტემა მეტად რთული მექანიზმია, უაღრესად ფაქიზი და მყიფე - ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი - წარმატებული მართვის შემთხვევაში. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ფართო სპექტრით იმ რისკებისა, რომლებიც საბანკო საქმიანობასა და ბანკებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ.

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელი, მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია გეოგრაფიული ან ეროვნული საზღვრები, ბანკები - ესაა უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა. ძირითადად, სწორედ ბანკების მეშვეობით ხორციელდება რესურსების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმ სუბიექტებისაკენ, რომლებიც მათ საჭიროებენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ის როლი, რომელსაც უნდა ასრულებდეს საბანკო სისტემა ეკონომიკურ სისტემაში.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიები, და აქედან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ,

რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულია“, რომელიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებს და სისხლგამტარი სისტემების (საბანკო სისტემის) მეშვეობით, სისხლის (ფულის) „რეალურ მიმოქცევას“ განაპირობებს.

როგორც პროფესორი გ. ცაავა აღნიშნავს, თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80–90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით, მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა და „საბანკო ფულის ერას“ ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების, ეკონომიკის საბაზრო საფუძვლების განმტკიცებისა და მსოფლიო ფინანსურ თანამეგობრობაში მისი ინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას ეროვნული საბანკო სისტემის სიღრმისეული და ყოველმხრივი რეფორმირება წარმოადგენს. ქვეყნის საკრედიტო სისტემა ფორმირების ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც კონკურენციის ზრდით, სახელმწიფო რეგულირებისა და ზედამხედველობის ნორმების გამკაცრებით, კაპიტალიზაციის დონისა და კაპიტალის ხარისხის დონისადმი მოთხოვნების ამაღლებით, ეკონომიკის რეალურ სექტორთან ურთიერთქმედების გაძლიერებით, მომსახურების სტრუქტურაში არასაბანკო პროდუქტების გადიდებით, საქმიანობის რისკის საერთო დონის ზრდით ხასიათდება. ამიტომ თანამედროვე ქართული პრაქტიკისათვის ბანკის მუშაობის მართვის სრულყოფა განსაკუთრებით აქტუალურია.

ბოლო გარემოებებმა რიგ მსხვილ ბანკებთან მიმართებაში გვიჩვენეს, რომ საქართველოს ბანკებს საკუთარი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებიათ. მიიჩნევა, რომ მუშაობის ყველა

მეთოდები და ხერხები უკვე ცნობილია და ამა თუ იმ ხარისხით გამოიყენება პრაქტიკაში, ცდომილება, „ამაღლებული სიცრუე“ იქნებოდა, სწორედ ახლა ეკონომიკის საბანკო სექტორში გარდაქმნისათვის კარგ შველას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი ქვეყნის მაკროეკონომიკური სისტემის (წარმოების საქონელისა და მომსახურების ზრდა, მოსახლეობის რეალური შემოსავლების გადიდება, ინვესტიციური აქტიურობის ამაღლება) პოტენციური ცვლილებების ფონზე მიმდინარეობენ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკრედიტო ორგანიზაციების რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და საქმიანობის მასშტაბების გაფართოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ – მათი რეფორმირების ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განმსაზღვრელ საიმედო საფუძველს ქნიან. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა – ბანკებში შიდა კონტროლის სისტემების აგებისადმი მიდგომების სრულყოფა, რაც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდების დანერგვის გარეშე განუხორციელებადია. სწორედ ზემოთაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მოცემული პრობლემის აქტუალურობა და წინამდებარე კვლევის თემის არჩევა.

კომერციული ბანკის საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ასპექტები საკმაოდ აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, საბანკო სისტემამ ფინანსური კრიზისის ბოლომდე დაძლევა ჯერ კიდევ ვერ შეძლო, თუმცა საკრედიტო დაწესებულებების რესტრუქტურისა და ანალიზისთან მიმართებაში საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების საფუძველზე ფინანსური კრიზისის ყველაზე მწვავე შედეგების დაძლევა იქნა უზრუნველყოფილი, ბანკების კაპიტალის, მათი აქტივებს ზრდისათვის და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისათვის აუცილებელი პირობები იქნა შექმნილი.

თანამედროვე საბანკო სისტემა მეტად რთული მექანიზმია, უაღრესად ფაქიზი და მყიფე - ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი - წარმატებული მართვის შემთხვევაში.

აღნიშნული გარემოება განპირობებულია ფართო სპექტრით იმ რისკებისა, რომლებიც საბანკო საქმიანობასა და ბანკებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ.

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელი, მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია გეოგრაფიული ან ეროვნული საზღვრები, ბანკები - ესაა უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა. ძირითადად, სწორედ ბანკების მეშვეობით ხორციელდება რესურსების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმ სუბიექტებისაკენ, რომლებიც მათ საჭიროებენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ის როლი, რომელსაც უნდა ასრულებდეს საბანკო სისტემა ეკონომიკურ სისტემაში.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიები, და აქედან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულია“, რომელიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებს და სისხლგამტარი სისტემების (საბანკო სისტემის) მეშვეობით, სისხლის (ფულის) „რეალურ მიმოქცევას“ განაპირობებს.

თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80–90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით, მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა და „საბანკო ფულის ერას“ ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

ქვეყნის საკრედიტო სისტემა ფორმირების ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც კონკურენციის ზრდით, სახელმწიფო რეგულირებისა და ზედამხედველობის ნორმების გამკაცრებით, კაპიტალიზაციის დონისა და კაპიტალის ხარისხის დონისადმი მოთხოვნების ამაღლებით, ეკონომიკის რეალურ სექტორთან ურთიერთქმედების გაძლიერებით, მომსახურების სტრუქტურაში არასაბანკო პროდუქტების გადიდებით, საქმიანობის რისკის საერთო დონის ზრდით ხასიათდება. ამიტომ თანამედროვე ქართული პრაქტიკისათვის ბანკის მუშაობის მართვის სრულყოფა განსაკუთრებით აქტუალურია.

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის პრობლემების მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურა პრაქტიკულად ფილიალების სპეციფიკასთან დაკავშირებულ ასპექტებს სრულად იგნორირებს. ნაწილობრივ აღნიშნული შეიძლება მსხვილი ქართული ბანკების შიგნით რეგიონალური ბიზნესისადმი მოწყალეული მიდგომით იქნას ახსნილი, რომელთა ძირითადი ინტერესები უმეტესწილად თბილისშია თავმოყრილი. საქართველოს ეროვნული (ცენტრალურ) ბანკის მიერ 21 საკრედიტო ორგანიზაციების საერთო რაოდენობის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საკრედიტო ორგანიზაციების 450 ფილიალია დარეგისტრირებული. მეცნიერული სიახლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მიეკუთვნებიან შემდეგი დებულებები: გამოვლენილია კომერციული

ბანკისა და მისი ფილიალის საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზისადმი მიდგომებში ძირითადი განსხვავებები; განხილულია კომერციული ბანკის ქვედანაყოფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკა; შემუშავებულია კომერციული ბანკის ფილიალის რეიტინგული შეფასების მეთოდიკა; მიმოხილულია კომერციული ბანკის მმართველობითი აღრიცხვის პროცესში საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და მიწოდების მეთოდიკები; შეთავაზებულია კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მმართვეის თანამედროვე სისტემები და ოქროს საბანკო წესი ჩამოყალიბებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია და მისი პრაქტიკული განხორციელების ალგორითმი.

მიღებული თეორიული შედეგები დაყვანილია პრაქტიკულ რეკომენდაციებამდე, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს დაგეგმვის, აგრეთვე კომერციული ბანკების ფილიალების საქმიანობის ოპერატიულობისა და ფინანსური ანალიზის სიზუსტის დასაბუთების ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს. ნაშრომის შედეგები, გარდა აღნიშნულისა, შეიძლება იყოს სასარგებლო ეკონომიკური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მმართველობითი აღრიცხვის პრინციპების შესწავლის, აგრეთვე ქვეყნის საკრედიტო დაწესებულებებისა და მათი ფილიალების თანამშრომლების სწავლების პროცესში. დაზუსტებულია კაპიტალის საკმარისობის დასაბუთება; კაპიტალის ნაზარდის ოპტიმალური ხერხის შერჩევა; სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების გათვალისწინება; განხილულია აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები; ბანკის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლები; საბანკო რისკების მართვა; შესწავლილია ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები.

ჩამოყალიბებულია „ოქროს საბანკო წესები“, როგორებიცაა: მოკლევადიანი პასივები უნდა განთავსდეს მოკლევადიან აქტივებში,

ხოლოგრძელვადიანი პასივები განთავსებული უნდა იქნას გრძელვადიან აქტივებში; აქტივის მიხედვით მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სახსრების ჯამი არ უნდა აჭარბებდეს ვალდებულებების შესაბამის ჯამს პასივების მიხედვით; სახსრების განთავსების ვადა არ უნდა აჭარბებდეს მათი მოზოდვის ვადას; აქტივების სტრუქტურა: ბანკის ბალანსში რამდენად დაბალია მაღალრისკიანი აქტივების წილი, იმდენად მაღალია მისი ლიკვიდობა; პასივების სტრუქტურა: რამდენად დაბალია მოთხოვნამდე ანაზრების წილი და მეტია ვადიანი ანაზრების წილი, იმდენად მაღალია ლიკვიდობა.

მიიჩნევა, რომ მუშაობის ყველა მეთოდები და ხერხები უკვე ცნობილია და ამა თუ იმ ხარისხით გამოიყენება პრაქტიკაში, ცდომილება, „ამაღლებული სიცრუე“ იქნებოდა, სწორედ ახლა ეკონომიკის საბანკო სექტორში გარდაქმნისათვის კარგ შველას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი ქვეყნის მაკროეკონომიკური სისტემის (წარმოების საქონელისა და მომსახურების ზრდა, მოსახლეობის რეალური შემოსავლების გადიდება, ინვესტიციური აქტიურობის ამაღლება) პოტენციური ცვლილებების ფონზე მიმდინარეობენ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკრედიტო ორგანიზაციების რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და საქმიანობის მასშტაბების გაფართოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ – მათი რეფორმირების ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განმსაზღვრელ საიმედო საფუძველს ქნიან. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა – ბანკებში შიდა კონტროლის სისტემების აგებისადმი მიდგომების სრულყოფა, რაც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდების დანერგვის გარეშე განუხორციელებადია. სწორედ ზემოთაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მოცემული პრობლემის აქტუალურობა და წინამდებარე კვლევის თემის არჩევა

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო კვლევის მიზანია თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკის საქმიანობის დაგეგმვისა და

ფინანსური ანალიზის მეთოდური საფუძვლების შემუშავება. დასმული მიზნის მიღწევამ მოითხოვა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვისა და ანალიზისადმი თეორიული და მეთოდური მიდგომების ანალიზის ჩატარება კომერციული ბანკის ფილიალში გამოყენებისათვის მათი ადაპტაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

კომერციული ბანკის ფილიალის ფინანსური გეგმების შედგენის მეთოდის შემუშავება სათაო ბანკებისადმი მისი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომერციული ბანკის ფილიალის საქმიანობის შესახებ ინფორმაციების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდის შემუშავება პროგრამული და ტექნიკური საშუალებების შეზღუდვების გათვალისწინებით.

კომერციული ბანკის ფილიალის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ყოველდღიური მონიტორინგის მეთოდის შემუშავება;

კომერციული ბანკის ფილიალის ქვედანაყოფის მუშაობის შედეგების ანალიზის მეთოდის შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის ობიექტია კომერციული ბანკი და მისი ფილიალური ქსელი. კვლევის საგანს წარმოადგენს კომერციული ბანკის ფილიალის საქმიანობის შედეგების მუშაობის გეგმის ფორმირებისა და ფინანსური ანალიზის პროცესის მექანიზმი.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი შეადგენს წამყვანი სამამულო და უცხოეთის მეცნიერების ნაშრომებმა, პერიოდულმა ბეჭდვითმა და საკვლევი პრობლემის მიხედვით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალებმა.

დასმული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში გამოყენებული იყო სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მონაცემები, აგრეთვე საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკისა და მისი

ფილიალების („საქართველოს ბანკი“) ბუღალტრული და მმართველობითი ანგარიშგებები. კვლევის ჩატარების პროცესში ასევე გამოყენებული იყო საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში რეალიზებულ კონცეპტუალური მიდგომები.

დისერტაციის მასალის ჩამოყალიბების მეთოდოლოგია ლოგიკის, დიალექტიკის, სისტემურობისა და კომპლექსურობის საერთო-სამეცნიერო პრინციპებზეა აგებული. დისერტაციაში განხილულია კომერციული ბანკის ფილიალის საქმიანობის დაგეგმვისა და ანალიზის პროცედურები ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდებისა და ხერხების ფართე სპექტრზეა დაფუძნებული, როგორებიცაა: ანალოგიის, ფორმალიზაციისა და მოდელირების, შედარებისა და დაჯგუფების, საბალანსო და გრაფიკული და სხვა მეთოდები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკური მეთოდი, როგორც საერთო მოდგომა კომპლექსური მმართველობითი ანალიზის პრობლემების მეცნიერული გაგებისადმი და მისი ინფორმაციული უზრუნველყოფისადმი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ეკონომიკური ანალიზის თეორიის მეცნიერული აპარატი, მისი მაჩვენებლების სისტემის (დაჯგუფება, შედარების მეთოდი, ინდექსური მეთოდი და სხვები) ანალიზისა და შეფასების ტრადიციული მეთოდები და მათი ეკონომიკური მეთოდებით ინტერპრეტაცია (დეტერმინირებული ანალიზის მეთოდი, ხაზოვანი პროგრამირება, ალბათობის თეორიები, შედარებით კომპლექსური შეფასების მეთოდები და სხვა).

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ქვეყნის, ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები და სემინარები, შესწავლილია

ეკონომიკური ანალიზის, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსებისა და გადასახადით დაბეგვრის სფეროში ეროვნული და უცხოური ავტორების საერთო და სპეციალური ლიტერატურა.

კვლევის ჩატარება დაფუძნებულია ბანკების (კერძოდ სს "ვითიბი ბანკის") საკონტროლო-ანალიტიკურ მუშაობაში ავტორის უშუალო პირად მონაწილეობაზე და რიგი კომერციული ბანკების საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებებზე.

კვლევის მეცნიერული სიახლე. მეცნიერული სიახლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მიეკუთვნებიან შემდეგი დებულებები:

გამოვლენილია კომერციული ბანკისა და მისი ფილიალის საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზისადმი მიდგომებში ძირითადი განსხვავებები;

განხილულია კომერციული ბანკის ქვედანაყოფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკა;

შემუშავებულია კომერციული ბანკის ფილიალის რეიტინგული შეფასების მეთოდიკა;

მიმოხილულია კომერციული ბანკის მმართველობითი აღრიცხვის პროცესში საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და მიწოდების მეთოდიკები;

შეთავაზებულია კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მმართველის თანამედროვე სისტემები და ოქროს საბანკო წესი

ჩამოყალიბებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია და მისი პრაქტიკული განხორციელების ალგორითმი.

კვლევის შედეგების უტყუარობა უზრუნველყოფილია კვლევის მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე კომერციული ბანკისა და მისი ფილიალების ბუღალტრული და მმართველობითი ანგარიშგების

ობიექტური მონაცემების გამოყენებით და მითითებულ საკრედიტო ორგანიზაციებში მიღებული შედეგების დანერგვიდან დადებითი ეფექტით დასტურდება.

კვლევის შედეგების აპრობაცია და დანერგვა:

ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენებული და განხილული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია შედგება შესავალისაგან, სამი თავისაგან, რვა ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან და იგი წარმოდგენილია კომპიუტერულ წესით ნაბეჭდ 152 გვერდზე.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხ-გაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია ბანკების წარმოშობაზე, პირველი ბანკის შექმნაზე ან პირველ საბანკო ოპერაციებზე ისტორიას არ შემოუნახავს, თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა ძველ წყაროებზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელია. ამ ექსკურსისათვის მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ საინტერესო ცნობები ფულის იმ ეკვივალენტის შესახებ ძველი ერების ისტორიიდან, რომელთა როლშიც გვევლინებოდა შინაური ცხოველები, მარცვლეული, შალი, ნიჟარები, ქურქი, და ა.შ., მაგრამ აქედან შესაძლებელია დავასკვნათ მხოლოდ უძველესი ფულადი მიმოქცევის და არა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ დროს ჩანასახოვანი საკრედიტო ინსტიტუტების თუ მექანიზმების როლი. უფრო მეტიც, ისტორიაში ბანკების წარმოშობის პერიოდი ძალიან ბუნდოვანია და სპეციალისტების კამათის საგანს წარმოადგენს.

ზოგიერთი მათგანის შეხედულებით, ბანკები წარმოიშვა ფეოდალიზმის ეპოქაში ან „ცოტათი“ ადრე, ანტიკურ ხანაში, როცა გაჩნდა აუცილებლობა ბანკების ისეთი ფუნქციებისა, როგორებიცაა _ შუამავლობა და გადახდების განხორციელება, თუმცა, ისიც ცხადია, რომ შუამავლობისა და გადახდების აუცილებლობა ბევრად ადრეც არსებობდა. მეორე შეხედულებით, ბანკები წარმოიშვა საბანკო სახლების სახით მანუფაქტურული კაპიტალიზმის ეპოქაში XIV-XV საუკუნის ცალკეულ იტალიურ ქალაქებში (ვენეცია, გენუა) და მევახშეებისგან განსხვავებით, ისინი ახდენდნენ სამრეწველო და კაპიტალისტების დაკრედიტებას „ზომიერ ფასად“. სხვების აზრით, ბანკების წარმოშობა დაკავშირებულია არა სასაქონლო მეურნეობის სხვადასხვა ეტაპზე ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებასთან, არამედ იმ პერიოდთან, როცა „აუცილებელი გახდა“ ჩახლართული ფულადი მიმოქცევის დამარეგულირებელი სპეციალური დაწესებულებების ქსელის არსებობა, ანუ საუბარია კაპიტალიზმის განვითარების გვიან პერიოდზე.

როგორც ვხედავთ, ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებები ბანკების წარმოშობაზე რამდენიმე ათასწლეულის დიაპაზონში მერყეობს და ამის მთავარი მიზეზია შეხედულება ზოგადად ბანკის ფუნქციებსა და იმაზე, თუ

რომელი და რამდენი ფუნქციის შესრულებაა „საკმარისი“, რათა საკრედიტო ინსტიტუტს ან საკრედიტო ურთიერთობის მექანიზმს ეწოდოს ბანკი.

გამომდინარე იქიდან, რომ ძნელია ასეთი მკაფიო ხაზის გავლება, ალბათ, უფრო მართებული იქნება ბანკების წარმოშობის პერიოდების შესახებ არსებული შეხვეულებების შეჯერებით გამოვყოთ ბანკების, უფრო სწორად - საბანკო პრაქტიკის, განვითარების 5 ეტაპი:

1) საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე (საბანკო პრაქტიკის სათავეები);

2) ანტიკური ხანიდან პირველი საბანკო დაწესებულების შექმნამდე (ანტიკური ხანიდან XII საუკუნემდე);

3) ჟირო-ბანკების, ანუ საზოგადოებრივი ბანკების ხანა (XIII-XVII საუკუნეები);

4) ბანკების მიერ მსოფლიოს „დაპყრობა“ (XVIII საუკუნე);

5) თანამედროვე ბანკინგი (XIX საუკუნიდან დღემდე). ასევე მიმოხილულია საქართველოს საბანკო სექტორი:

2015 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოში წარმოდგენილია 19 კომერციული ბანკი, საიდანაც უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირებს 18 მათგანი, ხოლო დარჩენილი 1 არარეზიდენტი ბანკის ფილიალი წარმოადგენს (3, გვ. 1-4).

ჯამში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ბანკების მთლიან განადგებულ საწესდებო კაპიტალში 77.1%-ს შეადგენს. საინტერესოა, რომ 2015 წლის იანვრიდან ქართული ბაზარი დატოვა ერთმა ბანკმა (პრივატბანკი) და ერთმა არარეზიდენტი ბანკის ფილიალმა (თურქეთის ბანკის ბათუმის ფილიალი).

საბანკო აქტივებით თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ბოლო 1 წლის განმავლობაში გაზრდილია 11%-ით და დღეისთვის 77%-ს შეადგენს, რაც ეკონომიკაში საბანკო სექტორის დომინანტურ პოზიციაზე მიუთითებს.

ბაზარზე წარმოდგენილი 19 ბანკი მთლიანობაში 124 ფილიალს და 802 სერვის ცენტრს ფლობს. 2015 წლის იანვრიდან აგვისტომდე ბაზარზე გაუქმდა 44 ფილიალი და 36 სერვის ცენტრი (ძირითადად “პრივატ ბანკის” გასვლასთან დაკავშირებით).

2015 წლის დასაწყისიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 3 ერთეულით გაიზარდა და 74-ს მიაღწია მაშინ, როდესაც 2007 წლის ნოემბრისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10 ერთეულს შეადგენდა. მათი გაფართოება ვერც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და ვერც 2013 წლის არჩევნებმა შეძლო.

2012 წელს რეგულაციების გამკაცრების და გადამხურდავებელი ჯიხურების რაოდენობის მესამედის გაუქმების შემდგომ (დაახლოებით 1500-დან 1000 ერთეულამდე), 2015 წელს მათი რაოდენობა კვლავ ზრდას განაგრძობს და 2015 წლის დასაწყისიდან 34 ერთეულით 1150-მდე გაიზარდა, რასაც ბაზარზე მიმდინარე პროცესებიც უწყობს ხელს და ახალისებს ახალ მოთამაშეებს ბაზარზე შემოსვლისაკენ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი მიმართულება ფინანსურ ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია, რომელთა აქტივები 2014 წლის IV კვარტლიდან მოყოლებული 28%-ითაა გაზრდილი (1.1-დან 1.4 მილიარდ ლარამდე). აღსანიშნავია, რომ 2008 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დღევანდელს თითქმის 20-ჯერ ჩამოუვარდებოდა და სულ რაღაც 74 მილიონ ლარს შეადგენდა. ცნობილია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სიმრავლეს მოსახლეობის მხრიდან ნაკლებად პრობლემატური სესხების მიღების მაღალი სურვილი განაპირობებს, მითუმეტეს ისეთ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, როგორც საქართველოა.

2014 წლის IV კვარტლიდან 2015 წლის მეორე კვარტლამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების წმინდა მაჩვენებელი 30%-თაა გაზრდილი და ისტორიულ მაქსიმუმზეა – თითქმის 1.1 მილიარდი ლარით. მათ მიერ გაცემული სესხების 3/4 თავის მხრივ მათ მიერ ნასესხები სახსრებია. სისტემა შესანიშნავად ფუნქციონირებს.

საბანკო სექტორი: გასული თვე (აგვისტო) საბანკო სექტორმა, როგორც მას სჩვევია მოგებით დაასრულა. წმინდა მოგებამ 9.8 მლნ ლარი შეადგინა (უკვე

წლებია ბანკების ყოველწლიური მოგება ასეულობით მილიონ ლარს შეადგენს). უკანასკნელი მონაცემებით გაზრდილია ბანკებიდან გაცემული სესხების მოცულობაც. კერძოდ, ლარში გაცემული სესხების მოცულობა 1.4 %-ით (78.2 მლნ ლარით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულის კი 2.5 %-ითაა (239.3 მლნ ლარით) გაზრდილი. თუმცა აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ეს მაჩვენებელი პირიქით 0.4%-თაა შემცირებული.

შეუჩრებლად იზრდება კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების მაჩვენებელი, რომელიც აგვისტოში, ივლისთან შედარებით, 300 მილიონი ლარით, ანუ 1.3 %-ით გაიზარდა და 24 მილიარდი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წელიწადში საბანკო აქტივები გაზრდილია 3-ჯერ (8-დან 24 მილიარდ ლარამდე). მხოლოდ 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე კომერციული ბანკების ჯამური აქტივები გაიზარდა 23%-ით, რაც მათ შესანიშნავ მდგომარეობაზე და ბაზარზე არსებული სიტუაციების იდეალურ გამოყენებაზე მიუთითებს. თუმცა მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ქართული კომერციული ბანკების უდიდესი უმრავლესობა ჯერ კიდევ შორს დგას სოციალური პასუხისმგებლობის გათავისებისგან და კონცენტრირებულია მხოლოდ და მხოლოდ თავისი შემოსავლების მაქსიმიზაციაზე, რაც გარკვეული უსამართლობის გრძნობას წარმოშობს მათ მომხმარებლებში.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში კომერციული ბანკი – საკრედიტო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზანია საქმიანობიდან მოგების მიღება საბანკო პროდუქტების გაყიდვასთან, კლიენტების საოპერაციო მომსახურებასთან და ფინანსურ მენეჯმენტთან მიმართებაში. აღნიშნული საქმიანობისათვის განსაზღვრული სპეციფიკაა

დამახასიათებელი, რომელიც ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და მასში მიმდინარე ტექნოლოგიური და ინფორმაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულთან ერთად ბანკისათვის სპეციფიურია ის, რომ მისი საქმიანობა მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება – ყოველდღიური ბალანსიდან ეროვნულ ბანკში წარსადგენ ანგარიშგებამდე, თითოეული ოპერაციის ხელით კონტროლიდან კომპიუტერული სისტემების გამოყენებით პარამეტრების დიდი რაოდენობის მუდმივი ზრდა ეკონომიკის საბანკო სექტორის მართვისადმი ახალი მიდგომების გამოყენებას მოითხოვს .

თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოიყენება ცნება „საბანკო მართვა“, რომლის საერთო ფუნქციებს მიაკუთვნებენ დაგეგმვას, ორგანიზაციას, რეგულირებას, კოორდინაციას, სტიმულირებას, აღრიცხვას, ანალიზს, კონტროლს. დაგეგმვა საბანკო მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც მმართველობითი პროცესის საწყისია, მის მიზანს და პერსპექტივას განსაზღვრავს, ქმედების გარკვეულ თანმიმდევრობას, მეთოდებისა და საქმიანობის საშუალებების არჩევას, მათ საჭირო პროპორციებს ადგენს. დაგეგმვა მენეჯმენტის ყველა დანარჩენი პროცესების მეთოდოლოგიას და ტექნოლოგიას განსაზღვრავს (6, გვ.80). მმართველობითი აღრიცხვის დანერგვისა და გაძლიერების საჭიროება მსოფლიოს მრავალი ბანკირების მიერ ხორციელდება. თანამედროვე პირობებში მმართველობითი აღრიცხვა საქართველოს საბანკო სისტემაშიც სულ უფრო ფართოდ ინერგება, რამდენადაც აღნიშნულის საჭიროება სამამულო ფინანსური ბაზრების თავისებურებებით, და პირველ რიგში სწორედ ეკონომიკის საბანკო სექტორში კონკურენციით არის ნაკარნახევი. რამდენიმე წლის წინ საბანკო კონკურენცია გავიდა საერთაშორისო დონეზე, წარმოიშვა ახალი ფინანსური ბაზრები, რომლებმაც დაფინანსების ხასიათი შეცვალეს. ბანკებმა საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების დივერსიფიცირება დაიწყეს. წარმოიშვა ახალი ფინანსური ინტიტუტები, რომლებიც ბანკებს ფინანსური მომსახურების განხორციელებასთან მიმართებაში კონკურენციას უწევენ.

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებამ, სხვადასხვა ბანკების მიერ მათ გამოყენებასთან მიმართებაში არათანაბარი შესაძლებლობებთან დაკავშირებით, გაამკაცრა კონკურენცია. ყოველივე აღნიშნული დღეს მსოფლიოს მრავალი ფინანსური ბაზრებისათვის წამყვან მახასიათებელს წარმოადგენს.

მმართველობითი აღრიცხვა მოწოდებულია ბანკის ხელმძღვანელობის საქმის მდგომარეობის შესახებ ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს. ასეთი ინფორმაციის ფლობის გარეშე შეუძლებელია ბანკის ეფექტიანად მართვა. უფრო მეტიც, თვით ბანკის არსებობა, რომელშიც არაეფექტური გადაწყვეტილებები მიიღება, შესაძლებელია მხოლოდ მანამ, სანამ კონკურენტების უმეტესობა ამგვარადვე მუშაობენ. როგორც კი ვიღაცა მათგანი წინ გასვლას დაიწყებს, აუტსაიდერების წინაშე ფუნქციონირების გაგრძელების პრობლემა წარმოიშობა.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა ბანკში თავისთავად დღევანდელი პირობებისათვის მნიშვნელოვანი ბანკის (ბიზნეს-პროცესების) იმ ობიექტების საქმიანობას მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების მართვას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე კი, რამდენადაც ბანკის ბიზნეს-პროცესების შედეგი – არის ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირება, ამიტომ საქმიანობის შედეგების მართვა – შემოსავლებისა და ხარჯების მართვას ნიშნავს. ამასთან, ხორციელდება დაყოფა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით, მოგების ცენტრების (ბიზნეს-ცენტრების) მიხედვით და დანახარჯების ცენტრების მიხედვით, აგრეთვე შიდასაბანკო სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა, ეფექტიანობის, ლიკვიდობის და ა. შ. ანალიზი ხორციელდება.

ამრიგად, აშკარა ხდება კომერციული ბანკისა და მისი ფილიალების საქმიანობის დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის მეთოდური საფუძვლების შემუშავების მიზანშეწონილობა. სწორედ მმართველობითი აღრიცხვის კონცეფციის ჩარჩოებში, რამდენადაც იგი დისერტაციაში გამოკვლევად ორივე პროცესს თავის თავში აერთიანებს და აკავშირებს და

ამასთან სისტემური მიდგომის პრინციპის სრულად დაცვას უზრუნველყოფს.

დაგეგმვის ელემენტები ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობენ. შრომის დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია შიდა საბანკო ორგანიზაციაში შეთანხმებული ქმედებების მიღწევა, რთულია საქმიანობის გარკვეული მიმართულების სხვები საზიანობის გარეშე პრიორიტეტულობის მხარდაჭერა და, საბოლოოდ, გეგმის გარეშე თვით კონტროლის ცნება მახინჯდება, რომელიც დაგეგმვის პროცესში გამომუშავებადი ორიენტირების გათვალისწინების გარეშე, ცარიელ ფორმალობაში გარდაიქმნება.

კომერციულ ბანკებში დაგეგმვის პრობლემებთან მიმართებაში სამეცნიერო ნაშრომების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი ავტორები კომერციული ბანკების ფილიალების საქმიანობის დაგეგმვის პროცესს ცალკე კი არ განიხილავენ, არამედ უბრალოდ როგორც კომერციული ბანკის საერთო გეგმაში აღნიშნული ფილიალების გეგმების ერთიანობის მონაცემის სახით ინტეგრირებენ. ამასთან კომერციული ბანკების ფილიალების საქმიანობის დაგეგმვის პროცესის ისეთი ასპექტები არ არის გამომჟღავნებული, როგორცაა ფილიალის განთავსების ადგილში რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინება, ფილიალის ცალკეული ქვედანაყოფების სათაო ბანკის შესაბამის პროფილურ ქვედანაყოფებთან ურთიერთობები და სხვები.

საკრედიტო ორგანიზაციებში დაგეგმვის პროცესის საერთო მახასიათებლები: თითოეულ საკრედიტო ორგანიზაციაში გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პრაქტიკას საკუთარი თავისებურებები გააჩნია, რომლებიც მისი საქმიანობის ხასიათით და სპეციფიკით, ორგანიზაციული სტრუქტურით, კომუნიკაციის მოქმედი სისტემით განისაზღვრება. უფრო მეტად კი აღნიშნული კომერციული ბანკის ფილიალს ეხება, რომლის დაგეგმვის პროცესი სათაო ბანკის გენერალური სტრატეგიის შესაბამისობაში უნდა ხორციელდებოდეს.

მიუხედავად ამისა, საქმიანობის დაგეგმვის პროცესს, სადაც კი არ უნდა იქნას ისინი განხორციელებული, საერთო დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნიათ. ეს ის ერთიანი ღერძია, რომელიც ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გამოყენებადი ტექნოლოგიისა და გეგმის მიღების ტექნოლოგიის ფორმირებას ახორციელებს.

განვიხილოთ დაგეგმვის რეალიზაციის ტექნოლოგია, რომელიც ნ. ნ. კუნცინას, ლ.ი. უშვინსკის და ა.ვ. მალეევას მიერ არის შემოთავაზებული . უმაღლესი მენეჯერებისათვის სტრატეგიული აზროვნების ფორმირება, ანუ თითოეული ხელმძღვანელის მიერ დაგეგმვის დანერგვის აუცილებლობისა და მიზნების გაგების უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის შეფასების საჭირო პირობებისა და სისტემის შექმნა. (ასეთ პირობებს შეიძლება მივაკუთვნოთ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვა, რომელიც დაგეგმვის შედეგების მსვლელობაზე და შეფასებაზე კონტროლის საფუძველი გახდება).

დაგეგმვის ინფრასტრუქტურის შექმნა. (დაგეგმვის ინფრასტრუქტურის ქვეშ გაგებული უნდა იქნას – უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელის დაგეგმვის შედეგების კონტროლისა და შეფასების უზრუნველყოფა; დასული მიზნების მიღწევის მასტიმულირებელი პასუხისმგებელი მუშაკებისა და სხვადასხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სისტემის შექმნა; სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა, რომლის ძირითადი მიზანი – დაგეგმვის უზრუნველყოფა).

დეტალური გეგმის ფორმირება, რომელიც გარე გარემოს შესაძლო ზემოქმედების შეფასებაზე, აგრეთვე ბანკის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებაზე, მის შესაძლებლობებზე და რისკებზე უნა იყოს დაფუძნებული.

ბანკის ეფექტიანი მართვა – არის რეგულირების სისტემის მეშვეობით მოგების მართვა, რომელიც მოცემული პირობებისათვის ოპტიმალური ფინანსური შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მოგების მართვა

ბანკის რეალური შემოსავლებისა და ხარჯების, თითოეული კონკრეტული სახეობის მომსახურების განხორციელებაზე დანახარჯების აღრიცხვის შესახებ მუდმივი ოპერატიული ინფორმაციის არსებობას ითვალისწინებს. ცენტრალური ბანკის მიერ შეთავაზებული მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების ფორმა, ბუღალტრული ბალანსის მსგავსად, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ინფორმაციისადმი წაყენებულ საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ამიტომ მმართველობითი აღრიცხვის ჩატარებისათვის ანგარიშგების საკუთარი ფორმა შემუშავდება, რომელშიც შემოსავლები და ხარჯები ჯგუფდება როგორც ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, ასევე ცალკეული ქვედანაყოფების მიხედვითაც. აღნიშნული მეთოდის ძირითადი მიზანია – ფილიალისათვის ფაქტიური მონაცემების მიხედვით ყველაზე უფრო შემოსავლიანი ოპერაციების სახეობების გამოვლენა, სამომავლოდ ყველაზე მომგებიანი ოპერაციების პროგნოზირებისა და საბანკო პროდუქტის ფასის განსაზღვრა.

საკრედიტო ორგანიზაციის ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმისათვის მმართველობითი აღრიცხვა დაგეგმვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამასთან შესრულებული უნდა იქნეს პირობა, რომ საკრედიტო ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ქვედანაყოფის ოპერაციული მართვის საჭიროებასთან და კონკრეტული მუშაკების ქმედებებთან არის დაკავშირებული. საქმიანობის შედეგების ანალიზისას ბანკის მოგების ფორმირებაში თითოეული ქვედანაყოფის ტენდენციები და პერსპექტივები განისაზღვრება. ოპერაციული მართვისათვის მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია ზოგჯერ ბუღალტრული მონაცემებითაც უნდა იქნეს შევსებული. თავის მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები დეტალიზირდება, მმართველობითი აღრიცხვით შემოსული ინფორმაციით უნდა იყოს შევსებული. ზოგჯერ აღნიშნულ პრინციპს კომპლექსურობის პრინციპს უწოდებენ (15, გვ. 18). პრინციპის არსი პირველად საბუთებში ან გაანგარიშებებში მონაცემების ერთჯერად ფიქსაციაში და მმართველობითი საქმიანობაში მათი ყველა სახით

მრავალჯერადად გამოყენებაში (გამეორებადი ფიქსაციის) რეგისტრაციისა და გაანგარიშების გარეშე) მდგომარეობს.

მოცემული მეთოდი საკრედიტო ორგანიზაციაში აღრიცხვის რაციონალური და ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციას ქმნის, რომელიც მისი სიდიდისა და საქმიანობის მასშტაბების შესაბამისია. მისი რეალიზაცია ნიშნავს, რომ მონაცემებს მინიმალური რაოდენობიდან მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის მაქსიმალურად საჭირო ინფორმაციის რაოდენობას ღებულობენ.

სამწუხაროდ, თანამედროვე რეალიები მოცემული მეთოდის სრულად გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა. იდეალურად მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვისათვის წყაროს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ინფორმაციული უზრუნველყოფადობის დღევანდელი მდგომარეობისას კომერციული ბანკების უმეტესობას უხდებათ გამოვიდნენ იქედან, რომ ფინანსური ანალიზის მიზნებისათვის ძირითადი ინფორმაციის მიღება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებიდან და მისი ცალკე შეგროვებადი სხვა მონაცემებით შევსება უხდებათ.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ფილიალების საქმიანობის ანალიზის პროცესში საკუთრივ კარგად დარეკომენდირებულ ერთ-ერთ ძირითად მეთოდს – შედარების მეთოდი წარმოადგენს. შედარება ხორციელდება როგორც თვით ფილიალის საქმიანობის გეგმიური და რეტროსპექტიულ მაჩვენებლებთან, ასევე სხვა ფილიალების საქმიანობის მაჩვენებლებთან. სხვადასხვა ფილიალების საქმიანობის შედეგების ერთმანეთში შედარების მეთოდის უფრო სრულად რეალიზაციისათვის მოცემული ნაშრომის ავტორმა ფილიალების რეიტინგული შეფასების მეთოდიკა შეიმუშავა, რომლის მიზანია ფილიალების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისადმი ერთიანი და გამჭვირვალე მიდგომების ჩამოყალიბება. ფილიალების საქმიანობის შეფასებისადმი მოცემული სისტემის გამოყენება ბანკის მიერ განსაზღვრული ბიზნესის მიმართულების განვითარებაში ფილიალების პირდაპირ და სტაბილურ

დაინტერესებაში მიღწევის მოტივაციას ემსახურება. გარდა ამისა, ფილიალების კლასიფიცირების შედეგები ფილიალის თანამშრომლების სტიმულირების პროგრამების დასაბუთებისას გამოიყენება. ფილიალების კლასიფიცირების პრინციპები ფილიალების საქმიანობის შედეგების კომპლექსურ შეფასებაზე და შეფასების შესაძლებლობაზეა დაფუძნებული. ფილიალების კლასიფიცირებისათვის რეიტინგული მიდგომა არის გამოყენებული. რეიტინგული შეფასება ფილიალების საქმიანობის რეგიონალური თავისებურებისა და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მახასიათებელი სისტემის საფუძველზე გაიანგარიშება.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში განხილულია

საკრედიტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა ცხრა განაყოფისაგან შედგება. განაყოფი თავისთავად შედგება რამდენიმე ქვედანაყოფებისაგან, რომლებიც პირველი რიგისობის სინთეტიკურ ანგარიშებად იწოდებიან. პირველი რიგისობის სინთეტიკური ანგარიშებიც თავის მხრივ დაიყოფიან მეორე რიგისობის სინთეტიკურ ანგარიშებად, რომლებიც პირველი რიგისობის ანგარიშების შევსებადობას შიფრავენ. ყველაზე დიდი დეტალიზაცია პირადი ანგარიშების დონეზე ხორციელდება, რომლებიც მეორე რიგისობის სინთეტიკური ანგარიშების ქვედანაყოფებს წარმოადგენენ. ჯამში, ბანკში ბუღალტრული აღრიცხვის თითოეული ანგარიში იერარქიულად გარკვეულ განაყოფს, შემდგომ პირველი რიგისობის სინთეტიკურ ანგარიშს და, ბოლოს, მეორე რიგისობის სინთეტიკურ ანგარიშს მიეკუთვნება. ანგარიშების ზემოთ აღწერილი მთლიანი სისტემა გრაფიკული სახით ანაბრებზე ნაშთების აღრიცხვის მიხედვით პირადი ანგარიშის მაგალითზე ნახაზი 3.1-ზეა წარმოდგენილი.

როგორც ნახაზი 3.1-ის სქემიდან ჩანს უკვე პირადი ანგარიშის თვით ნომერშია ჩადებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სინთეტიკურ ანგარიშს მიეკუთვნება იგი. ამიტომ პირადი ანგარიშების დაჯგუფება ადვილად შეიძლებოდა ანგარიშების გეგმის შესაბამისობაში გაკეთებულიყო. მაგრამ ანგარიშების გეგმა უნივერსალური სახით იყო

საკრედიტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმა	
განაყოფები	
1 განაყოფი	
-[4 განაყოფი ოპერაციები კლიენტებთან	
401	
423 დეპოზიტები და სხვა	მოზიდული სახსრები ფიზიკური პირების
სინთეტიკური ანგარიშები 2 რიგისობის H 4231	
-[42303 დეპოზიტები ვადით 31-დან 90 დღემდე	
პირადი ანგარიშები	
.....	
-[42315	
477	
-19 განაყოფი	

ნახაზი 3.1. საკრედიტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმა

შექმნილი ყველა საკრედიტო ორგანიზაციებისათვის და ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ბანკის მოთხოვნებზე იყო ორიენტირებული, ამიტომ ანგარიშების გეგმის სისტემაში არსებულის მიხედვით ანგარიშების დაჯგუფება ბევრ რამეში მმართველობითი აღრიცხვის მოთხოვნილებებს არ შეესაბამება. მეორე რიგისობის ერთი სინთეტიკური ანგარიშის ჩარჩოებში ხშირად არსებობენ ისეთი პირადი ანგარიშები, რომლებზეც ნაშთების შესახებ ინფორმაცია საჭიროა დაიყოს. გარდა ამისა, ანგარიშების გეგმაში მეორე რიგისობის თვით სინთეტიკური ანგარიშები ათას ერთეულზე მეტია, და დაჯგუფება მათი მიხედვით საჭირო შედეგს არ იძლევა. ამიტომ მმართველობითი აღრიცხვის მიზნებისათვის პირადი ანგარიშების საკუთარი დაჯგუფების შექმნაა საჭირო. ამასთან ისეთი სისტემაა საჭირო, რომ საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზი შეიძლება მხოლოდ MS Excel-ის გამოყენებით იქნეს განხორციელებული.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების აღორძინებისა და განვითარების პერიოდში, როდესაც მეურნე სუბიექტები, მათ მიერ მიღებადი უმეტესი გადაწყვეტილებების არჩევანში დამოუკიდებლობა, კაპიტალის მართვის ეფექტური პროგრამების შემუშავებების აუცილებლობის შესახებ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია.

ორგანიზაციის საკუთარი კაპიტალი - ჯერ კიდევ მოგების გარანტია არ არის. მაგრამ თუნდაც ასეთი გარანტია არსებობდეს, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ იგი წარმოების განვითარებაში ინვესტიციებისათვის, საბრუნავი აქტივების შევსებისათვის და ა.შ. იქნება საკმარისი. საკუთარი ფინანსური რესურსები ორგანიზაციის სტაბილური მუშაობის საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად, იგი საკმაოდ მცირედმომრავი რესურსებია და მათი ძირითადი ფონდებისა და არამატერიალური აქტივების გაფართოებული კვლავწარმოების დაფინანსების ან საბრუნავი აქტივების შევსების გრძელვადიანი წყაროს სახით განხილვა რისკის შემცველია. შედეგად დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს სახით ნასესხები კაპიტალი გვევლინება.

საბაზრო ეკონომიკისაკენ გადასვლის პროცესმა ორგანიზაციებისა და მათი კრედიტორების ურთიერთდამოკიდებულებები არსებითად შეცვალა. უპირატესობები ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის პირობებში დაიმკვიდრეს, რომლებიც მსესხებელის კრედიტუნარიანობასთან უშუალოდ არიან დაკავშირებულები

საბანკო სისტემის კრიზისმა ბანკების შიდა პრობლემები გამოააშკარავა, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო კაპიტალის დაბალ დონესთან, დაუბრუნებადი კრედიტების მნიშვნელოვან სიდიდესთან, რისკიანი საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებასთან, შიდა კონტროლისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის შეუფასებლობასთან. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საბუღალტრო სისტემის შემდგომ განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობდა მისი გამიჯვნა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვისთვის, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან ორივე აღრიცხვის სახეობა წარმოადგენენ ნებისმიერი სფეროს და საკუთრების სახეობის საწარმოების და ორგანიზაციების ერთიან ინფორმაციულ სისტემას, მისდევენ ერთიან მიზანს – ყველა მომხმარებლის უზრუნველყოფა საიმედო ინფორმაციით მართვისა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამდენად

მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს დიალექტიკურ ერთიანობას.

აღნიშნულია, რომ ისე როგორც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ასევე საქართველოს პრაქტიკაშიც მიღებულია ბუღალრტული აღრიცხვა დაყოფილ იქნას მმართველობით და ფინანსურ ქვედანაყოფებად. აღრიცხვის აღნიშნულ სახეობებს შორის არსებობს მრავალი საერთო, რამდენადაც ისინი აღრიცხვის სისტემის ერთიან ორგანულად დაკავშირებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ. ნაშრომში მოცემულია მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ცნების განმარტება და კომერციულ ბანკებთან მიმართებაში მათი გამიჯვნაა განხორციელებული.

გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ანალიზი მართვის უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი ფუნქციაა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიურ საფუძვლის, ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია, ბანკების საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიული ფინანსური დაგეგმვისა და მოდელირების ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ზოგადი დასკვნები

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

1 განხილულია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მმართველობითი აღრიცხვა, ძირითადად დაკავშირებულია წარმოებით დაწესებულებებთან. კომერციულ ბანკებში მმართველობითი აღრიცხვა არასაკმარისად არის შესწავლილი. მმართველობითი აღრიცხვის სპეციფიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურებების და დანახარჯების დაჯგუფებისას.

დაზუსტებულია კაპიტალის საკმარისობის დასაბუთება; კაპიტალის ნაზარდის ოპტიმალური ხერხის შერჩევა; სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების გათვალისწინება; განხილულია აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები; ბანკის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლები; საბანკო რისკების მართვა; შესწავლილია ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები.

შეთავაზებულია შემოსავლებისა და მოგების ცნების განმარტების დაზუსტება, დასაბუთებულია მათი გამიჯვნის აუცილებლობა საგადასახადო გადახდების ბიუჯეტისათვის კუთვნილი თანხების განსაზღვრის, წმინდა მოგებისა და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის ობიექტურობის მიზნით.

2 განხილულია ბანკის კრედიტუნარიანობა, როგორც მისი მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელთა ძირითადი ფაქტორების მიხედვით კლიენტები ბანკის კრედიტუნარიანობის დონის შესახებ მსჯელობენ. გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ საკრედიტო ოპერაციების მოცულობისა და რენტაბელობის ზრდის დაბალი ტემპები მოითხოვენ საკრედიტო რისკების მართვის მეთოდოლოგიის მუდმივ სრულყოფას და მისი რეალიზაციისათვის შიდა საბანკო სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას.

3 შეთავაზებულია საბანკო საქმიანობის კომპლექსური მმართველობითი ანალიზის სისტემაში გადასახადებით დაბეგვრის ანალიზის ბლოკის ჩართვის აუცილებლობა, რომელსაც ეკონომიკის რეგულირების სხვადასხვა მეთოდებს შორის წამყვანი ადგილი უკავია.

4 განხილულია, რომ კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა კომპლექსურ ცნებას წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემისაგან და ფინანსური და მმართველობითი ანალიზის მეთოდების შეფასებისადმი და გამოყენებისადმი სისტემურ მიდგომას მოითხოვენ.

5 აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში საქართველოში, ისე როგორც უცხოეთში, ბანკების ფუნქციონირების საიმედოობის შეფასებისადმი ახალი მიდგომებია ჩამოყალიბებული, როგორებიცაა ფინანსური კომპანიების და ბანკების საიმედოობის შეფასების რეიტინგული სისტემა BANKWATCH, რომელიც სამომავლო პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

6 დაზუსტებულია, რომ კომპიუტერული ქსელების გამოყენებაზე გადასვლამ ელექტრონული დანაშაულების პრობლემა განაპირობა და აღნიშნულმა ბანკის ფინანსური ტექნოლოგიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა.

7 დასაბუთებულია კომერციული ბანკების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისადმი მიმართებაში კომპლექსური მმართველობითი ანალიზის თეორიის დასაბუთება და მაჩვენებლებისა და ფაქტორების სისტემის ანალიზის მეთოდის საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობა.

8 შემოღებულია სატრანსფერტო ფასწარმოქმნისა და ხარჯების ალოკაციის ცნება და დასაბუთებულია მათი გამოყენების მიზანშეწონილობა მმართველობით აღრიცხვაში. აღნიშნული ელემენტები გვადლევს საშუალებას შევაფასოთ კომერციული ბანკების ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის ეფექტიანობა და/ან პროდუქტის ეფექტიანობა, რაც მთლიანობაში ბანკის სტაბილური განვითარების საწინდარია. კომერციული ბანკების შიდა ქვედანაყოფების და პასუხისმგებელი ცენტრების საქმიანობის ეფექტურობის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სატრანსფერტო ფასწარმოქმნის საფუძველზე იმ რესურსებზე, რომლებიც მონაწილეობენ ფულადი სახსრების შიდა ბრუნვაში. სატრანსფერტო ფასწარმოქმნის სისტემის გამოყენება მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვის პროცესის მართვას, გავზარდოთ კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობა.

9 აღნიშნულია, რომ მმართველობითი აღრიცხვა კომერციულ ბანკებში გადის თავისი განვითარების მხოლოდ პირველ სტადიას, თუმცა

გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება მისი დანერგვის კომერციულ ბანკებში დაგროვილია და უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. ამასთან, მმართველობითი აღრიცხვის თავისებურებები ბანკებში ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი. რადგანაც მმართველობითი აღრიცხვა წარმოადგენს მართვის საინფორმაციო მხარდაჭერას, იგი უნდა აწვდიდეს ხელმძღვანელობას ინფორმაციას, რომელიც გამოყენებადი იქნება დაგეგმვის, კონტროლის, ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირების სფეროში.

10 შეთავაზებულია, რომ ეკონომიკურ სისტემაში საკმაოდ დიდი როლი აქვს ფინანსურ აღრიცხვას, რადგანაც მხოლოდ მმართველობითზე კი არა, ფინანსურ აღრიცხვაზეა დამოკიდებული მისაღები გადაწყვეტილებების ხარისხის დონე. ეს ფაქტორი მას აახლოებს მმართველობით აღრიცხვასთან. ფინანსური აღრიცხვა უშუალოდ აფორმირებს ინფორმაციას აღრიცხვის ობიექტების მდგომარეობაზე და ცვალებადობაზე და ამით ავსებს ფინანსურ ანგარიშგებას. ასეთ ფუნქციას არ ასრულებს მმართველობითი აღრიცხვა. აღრიცხვის ობიექტების გამიჯვნა ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვებს შორის არ არის შესაძლებელი, რადგანაც ორივე სისტემა ღებულობენ ინფორმაციას ობიექტებზე ერთი და იმავე აღრიცხვის დოკუმენტებიდან.

11 თეორიულმა მიმოხილვამ და მოქმედი პრაქტიკის განვრცობამ გვაჩვენა, რომ მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა აღრიცხვის მიზანი, აღრიცხვის წარმოების აუცილებლობა, ინფორმაციის მომხმარებლები, საბაზისო სტრუქტურა, ძირითადი დებულებების გამოყენება, დამოკიდებულება დროში. აქედან დასკვნა, რომ მმართველობით და ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენენ ერთი და იმავე დროს ერთიანობას და საპირისპირო მხარეებს, და ამ საპირისპირო მხარეს იკვლევს გზას მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც ივსება ფინანსური ინფორმაციის ანალიტიკური კვლევებით მართვისათვის.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა და კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების აღწერა. (სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" მაგალითზე (22.11.2013);
2. კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგების ეკონომიკური ანალიზი (28.06.2014);
3. ფინანსური ანგარიშგების პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა და სატრანსფერტო ფასწარმოქმნის სისტემა კომერციულ ბანკებში (14.02.2015).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. ყაშუაშვილი ი. - ფინანსური განათლების მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის კომერციულ ბანკებთან ურთიერთობაში - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, N1, 2015. - გვ. 204-208.
2. ყაშუაშვილი ი. - სტაბილურობა საბანკო სექტორში. - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N1, 2015. - გვ. 113-117.
3. ყაშუაშვილი ი. - კომერციული ბანკების კლინტთა ურთიერთობის თავისებურებები. - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N2, 2015. - გვ. 18-21.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც გაკეთდა მოხსენება თემაზე: „კომერციული ბანკების ინვესტიციები არასაბანკო სექტორებში და მათი მიზანშეწონილობა საქართველოში“. - კონფერენციის მასალების კრებული, 2015. - 181-182 გვ.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია: IEC-2014 "ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები, გუმინ, დღეს, ხვალ", რომელზეც გაკეთდა მოხსენება თემაზე: „Corporate Compliance დანერგვა საქართველოს კომერციულ ბანკებში“. - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 3, 2014. - 213-216 გვ.
3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: "თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები", რომელზეც გაკეთდა მოხსენება თემაზე: „ფასწარმოქმნის თავისებურებები საბანკო კრედიტებზე საქართველოს საბანკო სექტორში“. - კონფერენციის მასალების კრებული, 2014.-169-172 გვ.